პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2023 წლის __იანვარი

ქ. წყალტუბო

„ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისათვის (EU4ITD) - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)"-ის პროექტის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტის განხილვისა და მოწონების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 15 იანვრის N48-48230151 წერილი, რომელშიც მერი საკრებულოსგან ითხოვს „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისათვის (EU4ITD) - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)"-ის პროექტის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტის - „ფარცხანაყანევის, საყულიის და ოფშკვითის სასოფლო-სამეურნეო სადემონსტრაციო ნაკვეთებთან მისასვლელი გზის მოწყობა"- განხილვასა და მოწონებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მოწონებულ იქნეს „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისათვის (EU4ITD) - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)"-ის პროექტის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტი - „ფარცხანაყანევის, საყულიის და ოფშკვითის სასოფლო-სამეურნეო სადემონსტრაციო ნაკვეთებთან მისასვლელი გზის მოწყობა".

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულებაშეიძლება გასაჩივრდეს კანონითდადგენილიწესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართიქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

ეკონომიკისა და ქონების მართვის

საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — რევაზ დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-48230151**
თარიღი: **15/01/2023**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მოსაწონებლად და შესაბამისი განკარგულების მისაღებად წარმოგიდგენთ: „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL.)"-ის პროექტის საგრანტო კონკრუსში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ წარსადგენ ინფრასტრუქტურულ პროექტს - „ფარცხანაყანევის, საყულიის და ოფშკვითის სასოფლო-სამეურნეო სადემონსტრაციო ნაკვეთებთან მისასვლელი გზის მოწყობა."

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge